

შპს „აისბერგი“

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები*

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისბერგი“ ს/კ 404569506 (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2018 წლის 06 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ - სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) კომპანიის იურიდიული მისამართი არის : ქ.თბილისი სამგორის ქ N 9

2018 წლის 21 დეკემბრისთვის შპს „აისბერგი“ (ს/კ 404569506) არის შპს „აისბერგი“-ს (ს/კ 205186895)

100% წილის მფლობელი.

შპს „აისბერგი“ (ს/კ 404569506) 2018 წელს არ ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას, ხოლო შპს „აისბერგი :-ის (ს/კ 205186895) ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა გაყინული ხორც-პროდუქტების შენახვა დასაწყობება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

სააღრიცხვო პოლიტიკა , რომელიც მოცემულია განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას .

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კონსოლიდირებული საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „საზოგადოება“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. მოგების გადასახადი ხარჯში აღიარდება და წარდგენლი არის საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლის „ მოგების გადასახადი“

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების თანხის გამოკლებით იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული მიეკუთვნება დღგ-თი დასაბეგრ

ოპერაციას , ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც შემოსავლები ხარჯები და აქტივები დღგ-ს ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება.მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საშემოსავლო გადასახადი

„საზოგადოება“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით 20%. საშემოსავლო გადასახადის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში .

ქონების გადასახადი

„საზოგადოება იხდის ქონების გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით 1 % ქონების გადასახადის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ხარჯი

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონიას

დირექტორი:



ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები

მომხმარებლები

შპს აისბერგი, ს/ნ: 404569506
აღმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმაბი - კონსოლიდირებული

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგ

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

'ლარი

'000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☒ შელავათების გარეშე ☐

საქმიანობის შედეგები

2018

ნეტო ამონაგები



804,268

საქონლის გაყიდვიდან

36,505

მომსახურების გაწევიდან

767,763

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

0

სხვა

0

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება



-28,898

საწყისი მარაგები

-28,898

მარაგების შესყიდვა

0

გადამუშავების დანახარტები

0

საბოლოო მარაგები



0

საერთო მოგება



775,370

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

სხვა შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-120,833
ცვეთა და ამორტიზაცია		-51,566
საპროცენტო შემოსავალი:		0
საპროცენტო ხარჯი :		-290,422
იჯარის ხარჯი		0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-194,855
სულ საოპერაციო ხარჯები	🔒	-657,676
საოპერაციო მოგება	🔒	117,694
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		0
მარაგები		0
სხვა არაფინანსური აქტივები		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		-102,040
მიღებული დივიდენდები		0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-14,289
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	🔒	1,365
მოგების გადასახადი		0
მოგება/(ზარალი)	🔒	1,365
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		795,824
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	🔒	795,824
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	🔒	797,189
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1,365
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

მოგება/(ზარალი)		1,365
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		797,189
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		797,189
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		2,083,571
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-2,735,890
კაპიტალის სხვა ცვლილებები		795,824
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		143,505

< ანგარიშგება

შენახვა

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები

მომხმარებლები

შპს აისბარში, ს/ნ: 404569506
აღმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები - კონსოლიდირებული

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგ

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

'ლარი

'000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☒

შელავათების გარეშე ☐

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2018

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

25,835

სავაჭრო მოთხოვნები

40,547

გადახდილი ავანსები

10,712

მარაგები



0

მზა პროდუქცია

0

სხვა

0

საინვესტიციო ქონება

0

სხვა მიმდინარე აქტივები

40,853

ბიოლოგიური აქტივები



0

თვითღირებულების მოდელით

0

გადაფასების მოდელით

0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

გუდვილი	0
სხვა არამატერიალური აქტივები	379
ძირითადი საშუალებები	1,704,222
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0
სულ აქტივები	1,822,548
ვალდებულებები	
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0
სავაჭრო ვალდებულებები	11,584
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	859
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	35,491
საგადასახადო ვალდებულებები	21,616
გამომუშავებული შემოსავალი	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,605,960
მიღებული გრანტები	0
სხვა ვალდებულებები	3,533
სულ ვალდებულებები	1,679,043
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,083,571
საემისიო შემოსავალი	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-2,735,890
გადაფასების რეზერვი	795,824
სხვა რეზერვები	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	143,505
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

სულ საკუთარი კაპიტალი		143,505
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,822,548

[← ანგარიშგება](#)

შენახვა